საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

28/11/2025

MIA 7 25 03957849

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის III - IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსს, ქალბატონ თამარ ჩინჩალაძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2025 წლის 12 ნოემბრის № 60-01253163831 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიხილა მოქალაქე გიორგი მეგრელიშვილის მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება მრავალადგილიანი ავტოსადგომის მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმებას.

მშენებარე ობიექტი (ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის (ს. კ. 01.17.14.003.517)), განთავსებულია საქართველოს შინაგან სქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონებიდან (ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №135, (ს.კ. 01.17.14.002.142)) დაახლოებით 223 მეტრში და წარმოადგენს I კატეგორიის ობიექტს.

შესაბამისად, მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა სცილდება სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებს „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვისა და II-IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ან/და არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების/დასკვნის მომზადებისათვის საჭირო კრიტერიუმებისა და

წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2024 წლის 29 ოქტომბრის №81/№1-1/381 ერთობლივი ბრძანების თანახმად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე
მარიამ ტაბატაძე